საქართველო

ნინიწმინდის მუნიციპალიტეტის

საკრებულო

დადგენილება № 4

25 თებერვალი 2010 წ.

ქ. ნინოწმინდა

ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ

,,ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ,, საქართველოს ორგანული კანონის მე–18[1] მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ,, ქვეპუნქტისა და 22–ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ტ,, ქვეპუნქტის, ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციულ კოდექსის,, 61–ე მუხლისა და ,,სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ,, საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 26 ოქტომბრის № 603 ბრძანებულების შესაბამისად, ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

დ ა ა დ გ ი ნ ა :

1. დამტკიცდეს ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასი დანართი № 1 თანახმად.

2. ძალადაკარგულად იქნეს ცნობილი ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2009 წლის 30 აპრილის №12 დადგენილება ,, ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ,,.

3. დადგენილება ძალაში შევიდეს ,,ნორმატიული აქტების შესახებ,, საქართველოს კანონით დადგენილი წესით გამოქვეყნებისთანავე.

ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს თავმჯდომარე ვლადიმირ სტამბოლციან

დანართი №1

დამტკიცებულია:

ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

2010 წლის 25 თებერვლის №4 დადგენილებით

ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასი

1. ქ. ნინოწმინდის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების 1 კვადრატული მეტრი მიწის ნორმატიული ფასი (შემდგომში ,, მიწის ნორმატიული ფასი,,) დიფერენცირებულია ქ. ნინოწმინდის საფუძველზე შესაბამისი ზონების მიხედვით და დგინდება შესაბამის ადგილზე არსებული მიწის საბაზრო ფასის გათვალისწინებით, გამოიანგარიშება შემდეგი ფორმულის მიხედვით:

$C_N = I_{MG} \times I_{TL} \times C \times K$, სადაც:

ა) C_N – არის კვადრატული მეტრი არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასი;

ბ) I_{MG} – არის ქ. ნინოწმინდის მაკრომდებარეობის ინდექსი, რომელიც უდრის 0,23 –ს;

გ) I_{TL} – არის ლოკალური ტერიტორიული ინდექსი, რომელიც უდრის:

- ცენტრალური ზონისათვის 1,1;
- შუალედური ზონისათვის 1,0;
- პერიფერიული ზონისათვის 0,9;

დ) C – არის არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ერთ კვადრატულ მეტრზე დადგენილი საბაზისო განაკვეთი და მისი მნიშვნელობა უდრის 0,24 ლარს;

ე) K – არის მიწის ნორმატიული ფასის მარეგულირებელი კოეფიციენტი და მისი მნიშვნელობა უდრის 20–ს.

2. პირველი პუნქტის მიხედვით ქ. ნინოწმინდის მიწის ნორმატიული ფასი დადგინდეს შემდეგი სახით:

ტერიტორია	I_{MG}	I_{TL}	C	K	C_N (ლარი)
ცენტრალური ზონა	0,23	1,1	0,24	20	1,21

შუალედური ზონა	0,23	1,0	0,24	20	1,10
პერიფერიული ზონა	0,23	0,9	0,24	20	0,99

3. ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სოფლებში მიწის ნორმატიული ფასი დადგენილია ქ. ნინოწმინდის შუალედური ზონისათვის დადგენილი მიწის ნორმატიული ფასის 30%–ის ოდენობით და იგი შეადგენს 0,33 ლარს;

4. ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის დასახლებათა შორის არეალებში მიწის ნორმატიული ფასი დადგენილია ქ. ნინოწმინდის შუალედური ზონისათვის დადგენილი მიწის ნორმატიული ფასის 25%–ის ოდენობით და იგი შეადგენს 0,28 ლარს;

5. ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის დასახლებათა შორის არეალებში გამავალი

,, საქართველოს საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების ნუსხის დამტკიცების შესახებ,, საქართველოს პრეზიდენტის 2006 წლის 15 სექტემბრის № 544 ბრძანებულებით განსაზღვრულ შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების 50 მეტრის რადიუსში (თითოეულ მხარეს) არსებული მიწის ნორმატიული ფასი დადგენილია ქ. ნინოწმინდის შუალედური ზონისათვის დადგენილი მიწის ნორმატიული ფასის 50%–ის ოდენობით და იგი შეადგენს 0,55 ლარს;

ქ. ნინოწმინდის ზონების აღწერა	ლოკალური ტერიტორიული ინდექსი I_{TL}
ცენტრალური ზონა	
– მაგისტრალური სახელმწიფო გზის ორივე მხარეს (თავისუფლების ქუჩა), დაწყებული ხიდიდან ვ. ჰოვსეფიანის ქუჩის გზაჯვარედინამდე – პუშკინის ქუჩის ორივე მხარეს, დაწყებული მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული შენობიდან ტერიანის ქუჩის გზაჯვარედინამდე	1,1
შუალედური ზონა	
– მაგისტრალური სახელმწიფო გზის ორივე მხარეს (დავით აღმაშენებლის ქუჩა), დაწყებული ხიდიდან ქ. ახალქალაქის მიმართულებით გრუზინსკის ქუჩის განშტოებამდე – თავისუფლების ქუჩის ორივე მხარეს დაწყებული ვ. ჰოვსეფიანის გზაჯვარედინიდან კეცხოველის ქუჩის განშტოებამდე – ვ. ჰოვსეფიანის ქუჩის ორივე მხარეს დაწყებული აბოვიანის ქუჩის განშტოებიდან გოგოლის ქუჩის	1,0

გზაჯვარედინამდე – სპანდარიანის ქუჩის ორივე მხარეს შაუმიანის ქუჩის გზაჯვარედინამდე – ტერიანის ქუჩის ორივე მხარეს – აბოვიანის ქუჩის ორივე მხარეს	
პერიფერიული ზონა	
ქალაქის დანარჩენი ნაწილი	**0,9**